№ 78 აპრილი 16, ხუთშაბათი 1892 აპრილი 16, ხუთშაბათი № 78

ივერია

1877—1892 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთის ღირს

	მან. კ.	თვეში	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაურა

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ გარეშე გაგზავნებულ-დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თბილისში ერეკლეს ქუჩაზე, ეკლესიის პირველ სართულში, ავ. ბ. ბ. ბ

ძო მფლობელთა საკუთრებაა, გორისაში—59,1%, ხოლო სულ უმცირესს პროცენტს ასეთ მიწადმფლობელობისას ვხედავთ: თიანეთის მაზრაში (14%), ახალქალაქისაში (12,9% და სიღნაღისაში 12,8%). შესანიშნავია, რომ ორთა შუა რაოდენობა კერძო მიწად-მფლობელობისა გუბერნიაში საკმაოდ დიდია, სახელდობრ 330,7 დესეტინა. მაგრამ ამისთანა ამბავთან ერთად კაცი შეჰნიშნავს სამაცარს გაძლიერებას მცირე მიწად-მფლობელობისას. რათა მკითხველი მიხვდეს, რაოდენად მცირეა უმეტესი ნაწილი ამისთანა მამულებისა, აქვე მოვიყვანთ მთელის გუბერნიის შესახებს საერთო ციფირებს, ამოწერილს იმ ცხრილიდგან, რომელიც შედგენილია იმის დასასურათებლად, თუ, სახელდობრ, ვის რაოდენი მამული ეკუთვნის:

რაოდენობა მამულისა			რიცხვი მიწადმფლობელთა
0-დგან 2 დესეტინამდე		აქვს	320 კაცს
3—4	—	—	243—
5—8	—	—	316—
9—19	—	—	388—
20—36	—	—	353—
37—72	—	—	407—
73—190	—	—	563—
191—380	—	—	304—
380-ზედ მეტი	—	—	436—

ამ ცნობათაგანა სჩანს, რომ ნახევარზედ მეტი კერძო მამულებისა ტფილისის გუბერნიაში, სახელდობრ, 60,87% (ეკუთვნის 2027 კაცს); 73 დესეტინაზედ ნაკლები უჭირავს თითოეულს მიწად-მფლობელს; 26,3% არის მამულები 73 დესეტინიდგან 380-მდე და მხოლოდ 13,9% წარმოადგენს სივრცეს მამულისას 380 დესეტინაზედ მეტს. დიდი ორთა შუა რაოდენობა კერძო მიწად-მფლობელობისა გუბერნიაში, ერთის მხრით, და მასთან ერთად მეტად დიდი პროცენტი მცირედის თითოეულის საკუთარ მამულებისა, მეორეს მხრით, იმ გარემოებას მოასწავებს, რომ ამ ეამად კერძო მიწად-მფლობელობა დიდს კრიზისშია: ერთის მხრით

ჯერ ერთი, რომ ბილეთების ბლანკებს ორ და სამ კეც ფასად დაუწყეს ყიდვა. ესეც არაფერი. ამას, როგორც იქნებოდა, ყველაფრის გამძლე გლეხი გაუძლებდა. საქმე იმაშია, რომ გავიდა დრო, ერთხელ ნაყიდი ბლანკები გამოილია და მეორედ იმის ყიდვა-კი აზრად არავის მოსვლია, თუმცა-კი განკარგულება ისე იყო, რომ ბლანკი გამოუყენელად უნდა ყოფილიყო, რადგანაც საზოგადოებას ამისათვის თანხა გადახდილი ჰქონდა. სათანხო ფული ამ კეთილის საქმისა, ღმერთმა უწყოს, სად გაჰქრა და რომელმა უკეთურმა ხელმა იჯიბა. ამ ნაირად, ახლა სოფლის კანცელარიებში ერთი ბლანკიც აღარ მოიპოვება და ხალხმა აღარ იცის რა ჰქნას და ვის მიმართოს ბილეთებისათვის. პოლიციაში ეუბნებიან, მამასახლისმა უნდა მოგცეს ბილეთიო, ხოლო მამასახლისი ეუბნება: ბლანკს თუ იშოვი, სამის მანეთის მეტს ბეჭდის დაკვრისათვის არ „გადაგახთიებო“. ეხლა ერთი მიბრძანეთ, რა უნდა ჰქმნას ასეთს გარემოებაში გლეხმა: ვის სთხოვოს კმაყოფილება, „საით გაიქცეს, რომ არ წაიქცეს“.

დანაწილებულია მრავალ წვრილ-წვრილ მამულად, ხოლო მეორეს მხრით ცხადად სდგას ჩვენს თვალ-წინ და პირველ ალაგს იჭერს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობასა და ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში შედარებით ბევრად ნაკლები რაოდენობა დიდის მამულებისა, რომელთაც ჯერ კიდევ დიდხანს შეუძლიანთ თავი დაიჭირონ.

ნიკ. კავკასიელ

ახალი ამბავი

*** ამაღამ ტფილისში მოელიან კავკასიის მთავარ-მართებელს შერემეტიევს, რომელიც ტფილისში მარტო ორს დღეს დარჩება და შემდეგ ისევ ობასთუმანში წაბრძანდება.

*** მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი პალადი გუშინ-წინ, 14 აპრილს, საღამოს 6 საათზედ, ტფილისში ჩამობრძანდა.

*** ტფილისის გუბერნატორმა დაავალა საგუბერნო მკურნალის თანაშემწეს, მკურნალს ბ-ნს მაკავარიანს, რადგანაც ამ მოკლე ხანში მრავალი ხალხი წავა მანგლისში, ამიტომ თქვენ ეხლავე გიმგზავრეთ და დაათვალიერეთ იქაურობა სასანიტარო მხრივაო. ბ-ნმა მაკავარიანმა, თუ საჭირო იქნება, ზოგს სახლში შესაფერი დეზინფექციაც უნდა მოახდინოს.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „კონა პირველ დაწყებითი მოთხოვნებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, მესამე სურათებიანი გამოცემა, უცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდგან, რომელიც მოწონებულ იქმნა განათლების მინისტრის და უწმიდესის სინოდის მიერ სახმარებლად სკოლებში“. წიგნში მოთავსებულია თითქმის ისამდე პატარ-პატარა მოთხრობა, შესახები სხვა-და-სხვა ფრინველისა, ცხოველისა და სასარგებლო სანგნისა და გა-

---

საყურადღებოდ მიგვაჩნია ეს ამბავი და ამიტომაც აღვნშნეთ ჩვენს ყოველ თვიურში. იმედი მაქვს, ისინი მიაქცევენ ყურადღებას ამ ამბავს, ვისი ყურადღებაც გამოსადგება.

**

როგორც ბილეთის ბლანკები, ისე ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად დაარსებული სასოფლო სიმინდის მაღაზიებიც სადღაც კვალ-დაუმჩნეველად გაჰქრა და არავინ იმის ამბავს და ანგარიშს არ კითხულობს: ზესკნელმა იატაკ, თუ ქვესკნელმა ჩაყლაპა ეს მაღაზიები და მათში მოგროვილი სოფლის ნაოფლარ-ნაპრონახულევი სიმინდი. განა სახუმრო საქმეა ასეთ დაწესებულებათა განადგურება და ამოდენა სიმინდის გაქრობა! ამ საქმეს რომ რიგიანი და გულ-შემატკივარი მომელულ-პატრონი გამოსჩნოდა, ახლა თითოეულს საზოგადოებას რამდენიმე ასი თუმანი ნაღდი ფული ექნებოდა და ბევრს საჭიროებას გაუძღვებოდა, მაგრამ, როგორც ვიცით, სასოფლო მაღაზიათა საქმესაც მამასახლისები განაგებდნენ და აწარმოებდნენ და საკვირველიც არ არის, თუ ეს საქმე დაარსებისთანავე

გაქარწყლდა. საკვირველი მხოლოდ ისა, რატომ უნდა წაიღოს ჩაილულის წყალმა ასეთი თვალ-საჩინო და ძმიმე ბოროტ-მოქმედება!

ვგონებ 1887 წელს იყო, რომ ოზურგეთში დაიბარეს აქაური მამასახლისები და ჰკითხეს, რა იქნა, თქვენს სოფელში რომ მაღაზიები იყო და მაღაზიებში სიმინდიო. მამასახლისებმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდად არ შეიწუხეს თავი და, არცკი გაწითლებულან, ისე უპასუხეს: სიმინდი თაგვებმა დაჭამა და მაღაზია ქვენა ქარმა დაარღვია. ასეთი პასუხი მამასახლისებისა შესაწყნარებელი იყო, თუ არა, არ ვიცი, ხოლო ის-კი ნამდვილად ვიცი, რომ იმ დღიდგან დღემდე ეს საქმე მიძინებულია, საზოგადო სიკეთის გამომხვრელი თაგვები-კი მდვიძარენი არიან და არხეინად განაგრძობენ თავიანთს საქმეს.

**

სამწუხარო ამბავთა შორის ზოგჯერ სასიხარულო და სანუგეშოც რომ არ გამოტყვრებოდეს, ქვეყანა მართლა ჯოჯოხეთად გადიქცეოდა და ადამიანის შვილს აქ დასადგომი

შობლოს“, „ჰამლეტს“, „აღლუმსა“ და სხ.

*** იმ ინსპექტორებს გარდა, რომლებიც ჩვენ გვქონდა ამას წინად დასახელებული, ხარჯთ აკრების ინსპექტორებად დაინიშნენ: ტფილისის გუბერნიის მესამე ნაწილში—ბ-ნი ოსოვსკი, იმავე გუბერნიის მეხუთე ნაწილში—ბ-ნი ბეზე, ერევნის გუბერნიის მეორე ნაწილში—ბ-ნი კორინსკი, იმავე გუბერნიის მესამე ნაწილში—ბ-ნი ტაეტოვსკი, ქუთაისის გუბერნიის მესამე ნაწილში—ბ-ნი გარტმანი და იმავე გუბერნიის მეოთხე ნაწილში—ბ-ნი ზრიე.

ხარჯთ აკრების ინსპექტორებისათვის გადადებულია წელიწადში 27,400 მანათი. თითო ინსპექტორს წელიწადში 1,800 მანათი მიეცემა ჯამაგირად და კიდევ 3 გზის ფულად 300 მანათი წელიწადში ტფილისის გუბერნიის ინსპექტორსა და 500 მანათი ქუთაისის გუბერნიისას.

*** ბ-ნს ა. ნებიერიძეს „სტრელნას“ ბაღის სცენა მთელის ზაფხულითა ოჯარით აუღია და ქართულ წარმოდგენების გამართვაის აპირობს, რისთვისაც რამდენიმე ახალგაზდა ქალი და კაცი მიუწვეია.

*** ენენა ქეთევან ირაკლის ასულმა ამილახვრისამ სამი ვაზა შესწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ამ მოკლე ხანში გასამართ ლატარია-ალეგრისათვის.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ ბიბლიოთეკას შემოსწირეს: ბ-ნმა ლუკა სტეფანეს ძემ ისარლოვმა: 1, ბროსეს მიერ გადაღებული საქართველოს ეკკლესიათა ზედ-წარწერანი; 2, პანტეონი ქართულის პოეზიისა (კრებული სხვადა-სხვა მოლექსეთა თხზულებათა); 3, სიტყვა წარმოთქმული ოდიშის მთავრის ლევან დადიანის მიერ 1846 წ. 11 მაისს, როდესაც გადასცა მემკვიდრეობა თავისს შვილს დავითს; 4, ლექსი, რომელსაც ზოგნი ვახტანგ VI-ს მიაწერენ, ზოგნი ბაკარ-ბატონიშვილს, და 5, Краткая грузинская грамматика, сочиненная

პირი არ ექნებოდა. მაგრამ დაიღლოცოს ღვთის სამართალი! ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ საცა ბოროტია, იქ კეთილიც არის, და აი, ათას ბოროტთა შორის ერთი კეთილიც შეგნშნეთ და გვინდა მკითხველს გავუზიაროთ. დეე ჩვენთან ერთად მკითხველმაც ისიამოვნოს ამ ამბით.

ნეტარ-ხსენებული გრიგოლ გურიელი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის საპატრო ზედამხედველად ირიცხებოდა და დიდს მფარველობას უწევდა, დიდს ზნეობრივსა და ქონებრივს დახმარებასა და შემწეობას აძლევდა ამ სასწავლებელს განსვენებული. მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ამ იშვიათ ქველ-მოქმედს ადამიანს ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელთან ერთად ბევრი სხვა საქმეც მიატოვებინა. ამ ნაირად დაობლდა ეს სასწავლებელი და არ ვფიქრობდით, თუ ამ გათახსირებულს დროში გრიგოლის სამაგიერო ვინმე გაუჩნდებოდა ამ სასწავლებელს. ხოლო წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული, როცა ამ მწარე ფიქრებში მოვსტყუვდით და ერთს მშვენიერს დღეს გაზეთში წვი-

---

na россійскомъ языкѣ, დაბეჭ. პეტერბურგში. ავტორის ინიციალებია В. А. Г.

ბ-ნმა ილია პეტრეს ძემ ნაკაშიძემ: ხალთნაწერი წიგნი—მარკ-ავრელიანის სწავლა-მოძღვრება და სიტყვისგება სოკრატისა და სხვა ფილოსოფოსთა.

ბ-ნმა ბეს. ლომინაძემ: ხელთ-ნაწერი წიგნი სახელად: მოთხრობა სჯულთა უმღვთოთა და სიტყვის გება ქრისტიანეთა მიერ, თქმული ბატონიშვილის ბაგრატისა.

ბ-ნმა ვას. ბიბილაშვილმა: 2 რეული სხვა-და-სხვა ლექსებისა, ავგარიოზი და შელოცვის ქალალდი. ბ-ნმა ბეს. ნიკარაძემ: ორი ძველი ისარი, სვანეთში ნაპოვნი.

საზოგადოების გამგეობა მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** ნორაო: ჩვენს სოფელში საქონელს თურქული გაუჩნდა და ამასობაში-კი ბეითალი აქვე არსად ვეგულება, რომ შველა და სახსარი რამ იყოს. ჯერ-ჯერობით ძნელად სათქმელია, რამდენად არის ეს საქონლის ჭირი მოდებული, მაგრამ ძალიან-კი ვრცელდება, რადგან უკვე რამდენგანმე საჩივარი მოისმის, ჩვენს საქონელსაც გამოაჩნდაო.

*** ახალ-სენაკი: ბ-ნი რატილი თავის ხოროთი ახალ-სენაკშიაც გვეხეტუმრა. ხორო ჩამოვიდა ჩვენს დაბაში ამ თვის ცხრას და იმავ ღამეს გაჰმართა კონცერტი, რომელაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ნაკლებად მიიზიდა საზოგადოება. ჩვენი ინტელიგენცია ამ დროს სოფლად იყო წასული დღესასწაულებში. ხალხიც ბედნიერ დღეების გამო ჯარიანობას ესწრებოდა სოფლებში და დაღალულ-დაქანცული ბრუნდებოდა შინ. იმ დღესაც ასე იყო და აბა ასე დაღალული ხალხი როგორღა დაესწრებოდა კონცერტს. პირველ რიცხვებში აპრილმა თავის მშვენიერის დარებით გაგვამხიარულა. დღესასწაულებში მშვენიერი და სანაქებო დღეები იდგა და საკმაო მხიარულებაც იყო... არავითარი ჩხუბი და აყალ-მაყალი არა მომხდარა-რა...

*** დ. ძეკლი-სენაკი: ამას წინად

კითხეთ მთავრობის განკარგულება, რომ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის საპატიო ზედამხედველად დანიშნულიაო კაპრალ შეიდა მოსე ოქროპირის ძე ურუშაძე, რომელსაც უკისრნია, რომ ხსენებულს სასწავლებელს წელიწადში აძლიოს 120 მანეთი და რამდენადაც შეეძლება, სხვა გვარი შემწეობაც აღმოუჩინოს. ეს ამბავი მარტო იმითაც არის სასიხარულო, რომ აქ სკოლის სიყვარული და თანაგრძნობა იხატება, ხოლო ეს სიხარული გაორკეცდება, როცა გიისხენებ, რომ ეს თანაგრძნობა, ეს სიყვარული გამოუჩენია მოვაჭრეთა წოდების წარმომადგენელს. დიაღ, აქ საგულისხმიერო სწორედ ეს არის, რომ კაპრალ შეიდა სკეფლიოს შეიტანოს თავისი წვლილი საზოგადო საქმეში. ვისურვებთ, რომ ამ გვარი სურვილი სხვა ვაჭართა შორისაც გავრცელდეს და ამ ხელ-მოქმედილად ცნობილს კაცებს საზოგადო საქმეში ხელ-გაშლილობა და უხვობა გამოეჩინოთ. დეე დარწმუნდნენ, რომ

სჯობს სახელისა მოპოვება
ყოველსა მოსახვეჭელსა.

დათიკო ვერშიცანაშვილი

გაცნობეთ, რომ აქაური ინტელიგენციას ოც-და-ხუთს მარტს ქართული წარმოდგენა ექნება-მეთქი. მართლაც წარმოადგინეს: „სკამპინის ცუღლუტობა“, სამ-მოქმედებიანი კომედია მოლიერისა, და „ადვაკატი მელაძე“, კომედია ორს მოქმედებად ივ. მაჩაბლისა. მოთამაშენი იყვნენ: ქ-ნნი ე. ა—ძისა, ნ. კა—ლისა და ვ. ჯი—სა; ბ-ნნი ვლ. ა—ძე, ს. ყი—ნი, ი. გო—ლი, ა. კა—ლი, ლ. ა—ძე, ვ. ე—ვა, ვ. მა—ია, ლ. ჟ—ნია და ბ. მი—ძე. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა და მაყურებლებიც დიდად ნასიამოვნებნი დარჩნენ. მოთამაშეებსაც ეტყობოდათ, რომ თავიანთი როლები კარგად დაესწავლათ.

*** სოფ. ნატახტარი (სენაკის მაზრა): ჩვენსკენ ყანებს ხელი მიჰყვეს. აქეთ ახლა სრულიად გაგვიზაფხულდა და აპრილმაც მშვენიერი დარები დაიჭირა. ზოგიერთმა მოარულმა ავადმყოფობამაც თავი იჩინა. ქურდობა და ავაზაკობა მისუსტებულია, ღვთის მადლით.

*** ს. ზაშიანი. (სილნაღის მაზრა): არ იქმნა და ვერ მოედო ბოლო სოფლის ავ-კაცთა ცუდს საქციელს ჩვენსკენ. ცალკე სიღარიბემ გაუწყალა გლეხობას გული, ცალკე სოფლის ჭამია გლეხებს შეუწუხა სული ქრთამების აღებით. რაკი წრეულს კარგი მოსავალი მოვიდაო, ბატონო, ეს დალოცვილები აღარა ჭხოგავენ მდაბიო ხალხს: სულ მცირე საქმისათვის, თუ კარგად არ გიბუნენ ღვინო - არაყი ან იმასთან, ვისაც საქმე გაუჩნია გასაკეთებელი, და ან ვინმე არ „დასთოვს“, გული არ მოუსვენებთ? ბარემ საჭიროა სოფლ ისათვის კარგი პატრონი და მზრუნველი, მაგრამ არ იქნა, არ გვეღირსა და ვართ ასე: არც სად ჩვენთვის გულშემატკივარია, არც სად პატრონი.

*** სოფ. ურიათუბანი (სილნაღის მაზრა): ამას წინად იყო არჩევანი ჩვენს სოფლის ეკლესიის მნათესი და ამოირჩიეს ერთი აქაური მცხოვრებთაგანი, მეორე გილდის ვაჭარი ალექსი გ—ძე ბრაგვაძე. დღეს, ხუთშაბათს, ცხრა აპრილს, ბლაღოჩინმა ეკლესიის კრებულის თანადასწრებით ჩაბარა ეკლესია ახალს მნათეს. იმედია, ახლად ამორჩეული მნათე არ დაჰზოგავს თავის მხრით მხნეობას და ერთგულად იზრუნებს საეკლესიო საქიროებათა გასაძღოლად.

*** ტფილისში, სამშუხაროდ, ხუნაგი ჯერ არ მოსპობილა. გაზეთ „Т. Л.“-ის სიტყვით, ამ უკანასკნელს დროს ტფილისის მეხუთე ნაწილში, სომეხთა საქველ-მოქმედო სკოლაში, 4 მოწაფე გამხდარა ავად ამ სენისაგან.

*** გაზეთს „მშაკს“ სწერენ კალიზმანიდგან: ამ რამდენისამე დღის წინად ამბავი მოვიდა, გარავანქში რამდენსმე ალაგს მიწა - განიერად სკდებაო, ზოგან მიწა ძირს იწევს და ზოგან ძლიერ ამოდის ზემოდაო. წაველი ადგილობრივ ამბის შესამოწმებლად. მართლაც, მიწა ზოგან ნახევარ მეტრის სიგრძეზედ გამსკდარი აღმოჩნდა დიდს მანძილზედ. ყინულს 2—3 არშინის სიღრმეზედ დაუწევია. თვით სოფელშიც ორის ოთხ-კუთხის ოდენა მიწამ ნ ბეკარ არშინზედ იიწია. ერთს ყანაში, სოფლის მახლობლად, მიწამ ერთს მხარეს აიწია და მეორე მხარეს-კი დაიწია. დარღვეულმა მიწამ ოთხი საბძელი დაიქცა სოფელში. ამბობენ, 30 მარტს მიწას არაფეფერი არ ეტყობოდაო. მეორე დღეს აიწ-დაიწია, შემდეგ გაიპო და 3 აპრილს უკვე დაიღო პირი მიწამაო. ეხლა ახალი ცვლილება მას შემდეგ აღარა მომხდარა-რა.

ᲚᲐᲑᲐᲓᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

(მოწერილი ამბავი)

ᲡᲐᲛᲢᲠᲘᲔᲓᲘ. ვისაც რკინის გზით უვლია, უეჭველია შენიშნავდა, რომ სამტრედია ერთი საუკეთესო სადგურთაგანია. დღეს აქ საკმაოდ ბევრი ხალხი ტრიალებს, დიდი ვაჭრობაც იციან, ირგვლივ დიდ-ძალი მოსახლობაა და რამდენიმე დიდი სოფელი აკრავს ზედ. ამ ოცის, ოც-და-ხუთის წლის წინად-კი ამ ადგილას, საცა დღეს რკინის გზის სადგური და ამდენი სხვა შენობაა გამოჭიმული, თითქმის გაუვალი ტყე იყო; მონადირე თუ შევიდოდა შიგ, თორემ მგზავრს, ვაჭარს და საქმის კაცს აქ რა უნდოდა. ახლო-მახლო სოფლების მკვიდრი ხალხი დღევანდელზედ უფრო ღარიბი იყო, უკან ჩამორჩენილი; ძკელს წესსა და ჩვეულებას ადგა და ისე ეწოდა ცხოვრების უღელს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ორთქლის მატარებლის სტვენა გაისმა, სამტრედიის ახლო-მახლო სოფლებს სულ სხვა დრო დაუდგათ. ხალხი მისვლა-მოსვლასა და ალაგ-მიცემობაში გაერთო და ფულის მოგებას შეუდგა. ამ სოფლებში დღეს მრავალს მდიდარს კაცს შეხვდებით, განსაკუთრებით გლეხ-კაცობაში. ყოველივე ესე მეტად სასიამოვნოა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ამბავს თან მოჰყვა ზოგი რამ სენიცა. ფულის შოვნის სურვილმა ზოგს ადამიანს ცუდს საქმისათვის მოაკიდებინა ხელი. ასე გასინჯეთ, რაიმე სახეირო საქმეს რომ ვერ შეეწყო ზოგი ადამიანი, ახალგაზდა ქალების ვაჭრობას შეუდგა. ამ ხელობისანი ახლო-მახლო სოფლებში ბევრნი არიან, ხოლო მათი მეთვალყურე არავინაა. როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ერთს აქაურს სოფელში, მაგალითად, რომელიც სამტრედიას ახლოა, ერთი გლეხ-კაცი გულ-დასმით და ერთგულად ეკიდება ამ სამარცხვინო ხელობას. ამ კაცს სამი ახალგაზდა ქალი მიუყიდნია ერთის მღებრისათვის, რომელსაც ამ გვარად ნაყიდი ქალები საროსკიპო სახლებში მიჰყავს. იმ სამ ქალთაგან ერთი იმ გლეხის და ყოფილა, მეორე—მისივე ღვიძლი ქალი და მესამე—მეზობლისა. ესოდენი საძაგლობა იმ გლეხს სულ ამ ცოტა ხნის განმავლობაში ჩაუდენია და ვინ იცის, წინად კიდევ რამდენი ქალი წაუყვანია ქუთაისს საროსკიპოდ.

ამ გლეხისა და მის მიერ გაყიდულის ქალების ვინაობა რომ ძნელი გასაგები იყოს, აქვე დავსახელებდით თითოეულის სახელსა და გვარს; საქმეც ის არის, რომ მთელმა სოფელმა იცის მათი ვინაობა. ამიტომ მთავრობაც ადვილად შეიტყობს, ვინც არის ამ შემაძრწუნებელ საქმეთა ჩამდენი, თუ რომ ამ ამბავმა იმის ყურამდე მიაღწია. აუცილებლად საჭიროა, მთავრობა ამ გვარს საქმეს ფხიზლად და სასტიკად მოეკიდოს, თორემ სამშინელი სენი სამტრედიაში უფრო გავრცელდება, რადგან აქ მრავალი ხალხი ტრიალებს და მიდის და მოდის. მარტო პარასკეობითი, ბაზრობა დღეს, ყველა ახლო-მახლო სოფლის ახალგაზდა ქალი და კაცი აქ იყრის თავს და, თუ იმ კაცებს თვალ-ყურსა არ ადევნეს, შესაძლოა კიდევ მრავალი ქალი გამოამშვიდობონ თავისს მშობლებსა და ნათესავებს და ჩაჰყარონ სამუდამო სირცხვილსა და უნამუსობაში.

ა. ს—ი

ᲜᲐᲠᲒᲕᲔᲚᲘ

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთს „Новое Обозрѣніе“-ს გუშინდელს ნომერში ფრიად საყურადღებოსა და თანაც საოცარს ამბავს იწერება ერთი მსესხებელთაგანი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა იმის თაობაზე. თუ როგორის სიყალბით იქცევა ჩრდილოეთის სადებეშო საგენტო, ანუ მისი აქაური მოხელე, რომ მფარველობა გაუწიოს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებას და აზარალოს ტფილისისავე სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი. დასამტკიცებლად თავისის აზრისა წერილის ავტორი ასახელებს რამდენსამე მაგალითს და ამასთანავე დასძენს, მრავალი სხვა საბუთიცა გვაქვს ხელში და იმის გამოქვეყნებაც შეგვეძლო, თუ რომ საჭიროდ დაგვენახაო.

აი რამდენიმე საბუთი ზემოხსენებულს წერილში აღნიშნული:

„საგენტო“ არა უკადრისობს და ერთად მოაქცევს ხოლმე თავისს დაბეშებში $5^1/_2$% გირავნობის ფურცლებს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისს და 5% ობლიგაციებს საკრედიტო საზოგადოებისს, თუმცა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილო ბანკს არა აქვს $5^1/_2$% გირავნობის ფურცლები და წესდება აძლევს ნებას, რომ იქონიოს. სესენბულს ბანკს აქვს მხოლოდ 5%-ანი გირავნობის ფურცლები. როცა „საგენტო“ ასე რიგად იქცევა ე. ი. აღარებს $5^1/_2$% ფურცლებს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისს და 5% ობლიგაციებს საკრედიტო საზოგადოებასს, მაშინ, კითხვა არ უნდა, კეთილი საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებისა, თუნდა ცოტა ნაკლებიც იყოს, უფრო დიდად გამოჩნდება, კიდრე კეთილი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლებისა.

შეიძლება მეითხველმა იფიქროსო, ამბობს ავტორი წერილისა: რომ „საგენტოს“ ეს შეცდომით მოსდის, მაგრამ, როგორც საქმიდგან სჩანს, შეცდომა სრულიადაც არა ყოფილა. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ რომ შეამჩნია ეს ვითომ-და შეცდომა, მიჰმართა წერილით „საგენტოს“ აქაურს მოხელესა, ხოლო მან აქამდე ჯერაც არ აღასრულა კანონიერი თხოვნა „გამგეობისა“ და აი 10 აპრილის დეპეშაშიაც კვლავ აღნიშნულია ისევ $5^1/_2$% ფურცლები ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, ნაცვლად 5%-ანის გირაინობის ფურცლებისა.

„საგენტო“ ამასაც თურმე არ სჯერდება საკრედიტო საზოგადოების სამფარველოდ და სხვა ღონისძიებას ხმარობს: ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ფურცელთა კურსი, კურსი, რომელიც პეტერბურგის ბირჟაზედ ყოველთვის მაღლა სდგას საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციების კურსზე, დეპეშებში ნაკლებადა ნაჩვენები, ხოლო კურსი საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებისა ყოველთვის გადამეტებულადაა აღნიშნული. აი ამისი მაგალითიც:

როგორც ოფიციალურ-ს ცნობებიდგანა სჩანს 5% გირავნობის ფურცლები ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 14 ივნისს აღნიშნულია $98^3/_4$ მ., გამყიდ. $99^1/_1$ მ., ხოლო „საგენტოს“ დეპეშაში-კი იგივე სრულიად აღუნიშნავად და აღსანიშნავს ადგა ხოლოდ ხაზება გასმული. ეს კიდევ არაფერი. საჭმე ის არის, რომ, როგორც ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციები კეთილად აღნიშნულია $97^1/_2$ და 98, ხოლო „საგენტოს“ დეპეშაში კეთილგანულად არის ნაჩვენები, სასყიდობრ $98^3/_4$ მ..

ამ გვარი საბუთი თვით წერილშიაც ბევრი აქვს აღნიშნული ავტორს ტ. როგორც ზემოდაცა ვსთქვით დასძენს კიდეც, ამას გარდა, სხვაც მრავალი საბუთი შეგვიძლიან დავასახელოთო.

დასასრულ წერილისა შემდეგია ნათქვამი.

ამ გვარს საჭმეებს შეუძლიან ისეთი არა-სასურველობა გამოიწვიოს, რომ აზარალის არა თუ მარტო თვით დაწესებულებანი, არამედ კერძო კაცნიც, რომელნიც ან მსესხებელნი არიან სესენბულ დაწესებულებათა და ან პროცენტიანი ქაღალდები აქვთ ნასყიდ...

მე თურისტი არა ვარ, მაგრამ თუკი ამ საკითხს თავისაზედ შეიძლება დაბნეულნი მესაფეხნი-გუბანში ჩავარდნენ, მეკითხის, ბანკი რად ერევება და არა თხოულობს მთავარ სანდაღარსა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

„Вѣстн. Финан.“-ში დაბეჭდილია, რომ ამ წლის იანვარში რუსეთის რკინის გზებს 21.437,765 მანათი შემოსულია. ამ წლის იანვრის შემოსავალი რომ შარშანდელ წლის იმავე თვივის შემოსავალს შევუდაროთ, აღმოჩნდება, რომ წრეულს იანვარში 526,235 მანათით მეტია შარშანდელზედ, ე. ი. შარშანდელს შემოსავალს 2,5% სჯარბობს. თითო ვერსზედ რომ ვიანგარიშოთ შემოსავალი, აღმოჩნდება, რომ წრეულს რკინის გზის თითო ვერსზედ 16 მანათით მეტი შემოსავალია. ვიდრე შარშან იანვარში იყო. თუმცა ამ გვარად წრევანდელი იანვრის თვივის შემოსავალი შარშანდელზედ მეტია, მაგრამ 1890 და 1889 წლებთან შედარებით-კი ამ წელს იანვარში რკინის გზებს ნაკლები შემოსავალი ჰქონია. საყურადღებოა აგრეთვე, რომ სახელმწიფო რკინის გზებზედ წრეულს გაცილებით მეტია შემოსავალი, ვიდრე კერძო გზებზედ. 1891 წლის იანვართან შედარებით ამ წელს იანვარში სახელმწიფო გზებზედ 924,584 მანათით მეტია, ე. ი. 16,3% მეტი, კერძო გზებზედ-კი 416,222 მანათით არის მეტი, ე. ი. მხოლოდ $3^1/_2$%-ით სჯარბობს 1891 წლის იანვრის შემოსავალს.

— გაზეთ „Нов. Вр.“-ს სიტყვით, რუსეთის სამხრეთ გუბერნიების მმართველებს კვლავ უთხოვნია მთავრობისათვის, დედათა სამეურნეო სკოლები დაგვიარსეთო.

— პეტერბურგის და მოსკოვის ზოგიერთ გაზეთებში სწერია, რომ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ხ. ბუნგე ავადმყოფობის გამო თავს ანებებს თავისს თანამდებობასაო.

— გუშინ ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ პეტერბურგში, ნევას ნაპირზედ, ტორნტონის მაუღის ქარხნის მთელი ექვსი სართული ერთბაშად ჩაქცეულაო. ამავე დღეს უფრო ადრე ოხტენის თოფის წამლის ქარხანაში აფეთქება მოხდა და ბევრსა ჭგონია, ამ აფეთქების ბრალია, რომ ტორნტონის მაუღის ქარხნის ექვს-სართულიანი, შენობა დაიქცაო. ამ შენობაში ტორნტონის ქარხნის მაუღი ინახებოდა თურმე. ეს შენობა ქვითკირისა და თუჯისაგან ყოფილა გაკეთებული. ამბობენ, რომ ალბად როცა ოხტენის თოფის წამლის ქარხანაში აფეთქება მოხდა, ამ შენობის საძირკველი შეიძრა, სიმძიმეს ვერ გაუძლო და მთელი სახლი ჩაინგრაო. სახლის ნანგრევებს ქვეშ დიდ-ძალი მაუღი მოჰყვა თურმე.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. იუსტიციის მინისტრმა საფრანგეთის გენერალ-პროკურორებს შემდეგის შინაარსის წერილები მისწერა: „ამ უკანასკნელს დროს, როგორც თქვენ იცით, კათოლიკეთა ეკლესიები საპოლიტიკო მანიფესტაციების ასახარეზად გადაქცია სამღვდელოებამ. მთავრობას ვალადა აქვს საფრანგეთში მშვიდობიანობა დაიცვას და ამიტომ გადასწყვიტა, ყოველ გვარი ღონისძიება იღონოს, რომ ამიერიდგან ეკლესიებში არავითარი უწესლობა არა მოხდეს-რა. თუ კიდევ კათოლიკეთა ეკლესიებში რაიმე უწესობა მოახდინა სამღვდელოებამ, კანონის მე-261 მუხლის ძალით დამნაშავენი სამართალში იქნებიან მიცემულნი. მთავრობა დიდად სწუხსა, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ ეკლესიებში მი.ძღვრების მაგიერ სპოლიტიკო საქმეთა განსჯასა და რესპუბლიკის კანონების კილვა-კუცხვა მიჰყოთ ხელი. იმედი მაქვს, რომ საფრანგეთის მთავარი სამღვდელოება ეცდება, ბოლო მოუღოს სამწუხარო და უკადრისს მანიფესტაციებს, რომელიც ეკლესიებში ჰხდება, და თუ ვინაცობაა სამღვდელოებამ თავისი არ დაიშალა, მაშინ სრული უფლება გექნებათ სამართალში მისცეთ დამნაშავენი. ამასთანავე გთხოვთ, შემატყობინოთ, თუ საჭიროება მოითხოვს, დეპეშით ყველი ამ შემთხვევის ამბავ, როცა იძულებულ იქნებით ამ უკანასკნელს საშუალებას მიჰმართოთ ეკლესიებში უწესოების მოსასპობად. საფრანგეთის იუსტიციისა და

სარწმუნოებათა მინისტრი რიკარი“.

— დემონსტრაციების გამმართველმა კომიტეტმა გადაწყვიტა 1 მაისს პროკლამაცია გამოსცეს. პროკლამაციას „პირველი მაისი“ ეწერება სათაურად. პროკლამაციებში დაბეჭდილი იქნება მუშათა სხვა-და-სხვა თხოვნა. 23 აპრილს პარიკის ყველა ნაწილში მუშათა კრებანია დანიშნული. ამ კრებებს საგნად აქვს პარიკში მომუშავეთა შორის მუშაობის აღკვეთის პირ-შეკრულობა მოახდინოს.

— გენერალ-პროკურორმა უკვე შეადგინა ბრალმდებელი ოქმი რავაშოლის საქმის შესახებ. სამართალში არიან მიცემულნი: კენიგშტეინ-რავაშოლი, სიმონი, ბეალა, შამარტენი და ქ-ნი სუბერი.

გერმანია. პოლიცია სცდილობს ყოველ გვარი ღონისძიება იხმაროს, რომ ბერლინში 1 მაისს არეულობა არ მოხდეს. ამ დღეებში ბერლინს ახლო-მახლო ბევრი საეკვო კაცი დაუპატიმრეს.

ინგლისი. ამ დღეებში გამოვა გლადსტონის წიგნი დედათა საქმის შესახებ.

— ქალაქ გაივუდში (მანჩესტერის მახლობლად) საქსოვი ქარხნები დაიკეტა და ამის გამო 3,000-ზედ მეტი მომუშავე უსაქმოდ დარჩა.

შეერთებული შტატები. გაიმინგის შტატში შეიარაღებული შეტაკება მოხდა პოლიციელთა და ცხენის ქურდთა შორის. მოკლულია 28 ქურდი და 18 პოლიციელი.

იტალია. ტურინში საფრანგეთიდგან განდევნილი 19 კაცი მისულა, რომელთა რიცხვში 6 ანარხისტია. იტალიის მთავრობას სუფეველნი დაუპატიმრებია, ვიდრე საფრანგეთიდგან იმათის ვინაობის ამბავს მიიღებს.

ესპანია. ქალაქ ბილბაოს პრეფექტს უსახელო წერილი მისვლია, რომელშიაც წერებულა, რომ დინამიტით ავაფეთქებთ ბილბაოს ეკლესიასა და საზოგადო შენობებსაო. პრეფექტს ყოველ გვარი ღონისძიება მიუღია ამ უბედურების ასაცდენად.

წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით რა ამასთანავე ოცს მანეთს, შეკრებიდან „გურიის ამხანაგობის“ სამეგობო ორკესტრის წევრთა შორის, გთხოვთ უმორჩილესად ამ ფულადგან, სურვილისამებრ ხსენებულის „ამხანაგობისა“, ითა მანეთი გადასცეთ სასარგებლოდ წინამძღვარანთ-კარის სამეფონო სკოლისა და დასაბრენი თერმეტი მანეთი-კი—ქობულეთის მოსაფლოდნელ ქართველის სკოლისა.

ამასთანავე გთხოვთ დაბეჭდოთ შემომწერელთა სახ:

ლეონარსან კეშელავამ შემოსწირა—2 მ., ანტონ კეშელავამ—1 მ., მანუელ კეკენტერაძემ—2 მ., იულანე კეკენტერაძემ—1 მ., პეტრე ნაწყვეტიმ—1 მ., იოანე ნაწყვეტიმ—1 მ., იოანე თოთიბაძემ—2 მ., ალექსანდრ ბერძენიშვილმა—1 მ., სარდან ბერძენიშვილმა—1 მ., დარასენ მაშვილმა—1 მ. 50 კაპ., ამბავო ბარამიძემ—2 მ., ლევონტი ჯაჩვამ—2 მ., ალექსან ზუმბაძემ—1 მ., ერასტი ნაწყვეტიმ—1 მ., ანტონ ტორჩინავამ—1 მ., სოდომონ მარტარეზიანშვილმა—1 მ., სულ 21 მ. 50 კაპ. აქედგან ითა მაური გასაგზავნ ფასად დაბარეკ.

ლ. კეშელავა.

ქ. კიევი
17 მარტს.

დეპეშა

14 აპრილი

სარატოვი. იწყებენ მუშაობას პოკროვა-ურალის რკინის გზის გასაყვანად.

კონსტანტა. ვოლგაზედ სრულიად ჩამოდნა ყინული; ზემოდგან გემები მოვიდა.

ბერლინი. გუშინ სახლები გაუხბრიკეს სოციალისტებსა და ანარხისტებს. 20 კაცი დაუპატიმრეს. სოციალისტებისა და ანარხისტების მიერ დანაბეჭდი წიგნები მთავრობამ წაართვა.

15 აპრილი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდი მთავრონი ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე გუშინ ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე მიბრძანდნენ ბაბასთუმანს.

სასახლეში გლოვა დაიდო 2 კვირით დიდის ჰერცოგინას მეკლენბურგ-ივერინგელის გარდაცვალებისა გამო.

„Новое Время“ იუწყება, 25 მაისამდე ფინანსთა მინისტრი ნიკიტას ბაღში იქნება იალტას ახლო დასასვენებლადაო, ხოლო მაისის გასულს გადავა საკუთარს აგარს ტორბინაში ნიკოლოზის რკინის გზაზედ და კვირაში ორჯელ მოვა ხოლმე პეტერბურგს.

სახელმწიფო საბჭოში წარდგენილ იქმნა ახალი კანონპროექტი საერობო ხარჯის აკრებისა.

პარიქი. რავაშოლის საქმის გარჩევის გამო ყოველი გასაფრთხილებელი ღონისძიებაა ნახმარი „Paris de justice“-ს შესავლის კარებთან. რავაშოლმა სრულიად აუღელვებლად სცნა თავისი თავი დამნაშავედ სენ-ჟერმენის ქუჩაზე აფეთქების საქმეში და პასუხის გებასაც კისრულობს გაბედვით. ბრალდებული ამბობს, მე ლევალლუა პერრეო საქმის გამო ანარხისტების შესახებ დადგენილმა განაჩენმა მომიყანა გულიო. 5 ბრალდებულს უკვე ჩამოართვეს ჩვენება.

რომი. გუშინღამ რომსა და სხვა ქალაქებში დაუპატიმრეს ანარხისტთა მოთავენი,

პარიქი. რავაშოლსა და სიმონს უვადოდ კატორგა გადაუწყვიტეს, ხოლო სამი სხვა ბრალმდებული გამართლებულ იქმნა.

ვეტერბურგის ბირჟა, 14 აპრილი.

	ფასდგენილნი.	გაბედულნი.	ბოლოდ-ფასნი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ბუთ-მანათიანი ოქრო .	7,80	7,82	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	155¾	156½	— ,,
მანეთიანი ვერცლის ფული	— ,,	1,12	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	237	— ,,	— ,,
—მეორისა	— ,,	— ,,	219½
სახელმწიფო თავადაზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	196	197¾
გირავნობის ფურცლნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	— ,,	101½
5%	— ,,	— ,,	99
ქუთაისის ბანკისა 6% .	— ,,	— ,,	101½
5%	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	99½

გამოსაღები ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარეგ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკევობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითა-საქმის გათავებენ შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღვოდაც.

განცხადებანი

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული

ილია ჭავჭავაძის

თხზულებათა

პირველი ტომი

(ლექსები და პოემები)

ავტორის სურათით და ფასმილეთი გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას

გასაყიდად.

ფასი 1 მ. 20 კ.

ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა

ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее; ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალალო თუთაევის

ზეთოვანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვაიღი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტოგრაფიის, ხუდოფნიკის და ფაუტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებულა საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეჯ გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ИВЕРИА“

1892 წ. 1-ს ინვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვითო. . .	10 მ.—კ.	6 თვითო . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეგ მცხოვრებთ უნდა დაბაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმის მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული ფასსანგნული გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რავიცი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიკერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები ეკრესპონდენციები, რედაქციის სამსახურზედ უნდა გამოიგზავნის. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული, ან შესწორებული იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ტფილისში, ნაგოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 15-го Апрѣля 1892 г. სტამბა ვ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.